



სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის
დირექტორი

ბრძანება

06

08

2021 წ.

№ 116

ქ. თბილისი

„დოკუმენტური ფილმის 2021 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსზე შემოტანილ პროექტთა (კონკურსი №2/4) განმხილველი საექსპერტო კომისიის შექმნის თაობაზე“ სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის 21.05.2021 წლის №58 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და „სსიპ - საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საექსპერტო კომისიის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 7 აგვისტოს №3/255 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საექსპერტო კომისიის დებულების“ მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად ვბრძანებ:

1.საექსპერტო კომისიის წევრის – მამუკა მგალობლიშვილის მიერ დოკუმენტური ფილმის პროექტთა წარმოების დაფინანსების განმხილველი საექსპერტო კომისიის პირადი განცხადებით დატოვების გამო, შევიდეს ცვლილება „დოკუმენტური ფილმის 2021 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსზე შემოტანილ პროექტთა (კონკურსი №2/4) განმხილველი საექსპერტო კომისიის შექმნის თაობაზე“ სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის 21.05.2021 წლის №58 ბრძანებაში, შეიცვალოს კომისიის ერთი წევრი, ნაცვლად მამუკა მგალობლიშვილისა კომისიის წევრად დაინიშნოს ლევან აბდუშელიშვილი და დოკუმენტური ფილმის 2021 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსზე შემოტანილ პროექტთა (კონკურსი №2/4) განმხილველი საექსპერტო კომისია ჩამოყალიბდეს შემდეგი შემადგენლობით:


1. შორენა ლებანიძე – მწერალი/სცენარისტი;
2. ლევან აბდუშელიშვილი – კინომცოდნე;
3. გიორგი მრეველიშვილი - რეჟისორი;
4. ირაკლი ფანიაშვილი – რეჟისორი;
5. ლევან ღლონტი - რეჟისორი;
6. ნინო ჩიჩუა - პროდიუსერი;
7. ეკატერინე ჭელიძე – რეჟისორი;

2. დაევალოს საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის (შემდგომში-კინოცენტრი) IT სპეციალისტს დავით ყურაშიძეს წინამდებარე ბრძანების კინოცენტრის ვებ-გვერდზე განთავსება.
3. ბრძანება ძალაშია კინოცენტრის ვებ გვერდზე გამოქვეყნებისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

საფუძველი: „საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საექსპერტო კომისიის წევრის – მამუკა მგალობლიშვილის შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ“ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის 04.08.2021 წლის №115 ბრძანება.

დირექტორი



გაგა ჩხეიძე